დანართი №2

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “იატაკისა და ფილის სამუშაოების” დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე**: ქეთევან ბოტკოველი (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) **წევრი:** ირმა ღარიბაშვილი - დარგის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192,

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2025 წლის 25 დეკემბრის MES 9 25 0001837954 ბრძანების** საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ **“იატაკისა და ფილის სამუშაოები”** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განახორციელება ა(ა)იპ კოლეჯში"განთიადი" **2026 წლის 22 იანვარს** (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ.ხიდისთავი).

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება.

შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1. - ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰქონდა შემენილი **„ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო“**, რომელიც პროგრამით არის მოთხოვნილი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბრძანება N1-07, 23/01/2026), სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს **„ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს“.** შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრა 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 24 ივლისი. დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს - „შესაბამისად“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი შეფასდა - „მეტწილად შესაბამისად“. საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია:- მიზანშეწონილია დაწესებულებამ დაიცვას **„ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო“** შესყიდვის ვადები.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. წერილით დგინდება, რომ ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს შეძენის პროცედურა, რომლის შესყიდვაც დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2026 წლის 24 ივლისამდე, დაწყებულია. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია ბაზრის კვლევა, გამოვლენილია მომწოდებელი და გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. კოლეჯის ინფორმაციით, შესყიდვის პროცესი მიმდინარეობს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების ფარგლებში. აღნიშნულ ეტაპზე ხელსაწყო ჯერ არ არის შეძენილი, შესაბამისად, რეკომენდაცია ძალაში რჩება და ინდიკატორის შეფასება უცვლელია.

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N89 24.10.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	72
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მისია ეფუძნება პროფესიული განათლების განვითარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროგრამების დანერგვის გზით. კოლეჯის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიალური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია ყველა მხარის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებასთან. მათ შორის კედლის და იატაკის ზედაპირების ფილებით მოპირკეთებასთან, მოზაიკური ფილებით ზედაპირის მოპირკეთებასთან, თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულებასთან, მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგებასთან და სხვ.

შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

დაწესებულების მიერ ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების მიხედვით, სამშენებლო სექტორი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და მზარდ სფეროდ საქართველოში. განსაკუთრებული საჭიროება შეინიშნება იატაკისა და ფილის სამუშაოების შემსრულებლების მიმართულებით, რომლებიც აუცილებელია როგორც ინფრასტრუქტურული, ისე კერძო მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოებისთვის.

პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯ "განთიადში" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "იატაკისა და ფილის სამუშაოების" დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით.

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (8.დაშვების წინაპირობა-საბაზო ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "იატაკისა და ფილის სამუშაოები", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ "იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. "იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ეფუძნება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს "იატაკისა და ფილის სამუშაოები". კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს აპლიკანტთა შერჩევის ჩატარების პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

“იატაკისა და ფილის სამუშაოების” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯ “განთიადის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას.

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ “იატაკისა და ფილის სამუშაოების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურული რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ “იატაკისა და ფილის სამუშაოების” პროგრამისთვის განსაზღვრული **72** პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსი ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის წესდების თანახმად, პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წ. 24 ოქტომბრის N89 ბრძანებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

"იატაკისა და ფილის სამუშაოების" საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სამღებრო საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს — ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ პროფესიულ მოდულებს:

- სამშენებლო ნახაზების კითხვა
- მშენებლობის საფუძვლები
- ფილის დამუშავება
- კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის
- კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით
- ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით
- ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკის მოწყობა
- თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულება
- მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგება
- ელასტიური და რბილი იატაკის საფარის დაგება
- სხვადასხვა სახის იატაკის დაგება
- შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ **სტუდენტს შეუძლია:**

1. წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები
2. დაამუშავოს ფილა
3. მოამზადოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით მოპირკეთებისთვის
4. მოაპირკეთოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით
5. მოაპირკეთოს ზედაპირები მოზაიკური ფილებით
6. მოაწყოს ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკი
7. შეასრულოს თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები
8. დააგოს მეტლახის და გრანიტის იატაკი
9. დააგოს ელასტიური და რბილი იატაკის საფარი
10. დააგოს სხვადასხვა სახის იატაკი (ხის ფიცრის, ხის პარკეტის, ლამინირებული პარკეტის)
11. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
12. აღწეროს მშენებლობის ეტაპები და შენობის შიდა მოპირკეთების პროცესები

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

"იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ის მიერ №89 ბრძანებით (24.10.2025). პროგრამები სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები,სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული (A2), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. (ქართული ენა A2).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი.
- პროგრამის პაკეტი;
- აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი ბრძ.N51 23.08.2021 (ცვლ.N90, 24.10. 2025);
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის წესდება.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი ბრძ.N51 23.08.2021 (ცვლ.N90, 24.10. 2025)
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები.

შეფასება:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

"იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც მეტწილად უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თანერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

აკადემიის სასწავლო კორპუსში "იატაკისა და ფილის სამუშაოები" პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით ორგანიზებულია **C ტიპის სასწავლო გარემო**, რომელიც მორგებულია იატაკისა და ფილის სამუშაოების საქმიანობის სპეციფიკაზე. **აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების მეტწილად გამომუშავებას,** პრაქტიკული სწავლების სივრცე გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰქონდა შეძენილი **„ქვიშა-ცემენტისა მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო"**, რომელიც პროგრამით არის მოთხოვნილი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბრძანება N1-07, 23/01/2026), სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს **„ქვიშა-ცემენტისა მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს".** შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრა 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 24 ივლისი. დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს - „შესაბამისად". ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი შეფასდა - „მეტწილ შესაბამისად". საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია:-კოლეჯმა უზრუნველყოს **„ქვიშა-ცემენტისა მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს"** შესყიდვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

თეორიული მოდულები ხორციელდება კოლეჯში, პროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტი კი გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში. პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოების დათვალიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი (2.2.1.1.) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “იატაკისა და ფილის სამუშაოების” განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.
პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს **ჯამში 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- 10 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

რესურსების მდგრადობა

მოდულების მიხედვით კოლეჯს ჰყავს მოდულზე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა დატვირთვა

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.
პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის ფარგლებში “იატაკისა და ფილის სამუშაოების” პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ “იატაკისა და ფილის სამუშაოების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.
მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები — პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან.

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “იატაკისა და ფილის სამუშაოების” ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნები. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა კოლეჯ "განთიადის" ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "იატაკისა და ფილის სამუშაოების" განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ - როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.

ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო როცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას. ფინანსების მართვის სამსახურის მიერ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია **ფინანსური რესურსი, დადგენილია სტუდენტთა რენტაბელური რაოდენობა, შემოსავლების წყაროები, ხარჯები, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯები, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, პროგრამის სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი, ადმინისტრირების ხარჯები,** რაც საშუალებას აძლევს კოლეჯს გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც კოლეჯში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა. ანალიზის მიხედვით, პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში **8 პროფესიული სტუდენტ**ი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.

ბიუჯეტი ასახავს კოლეჯის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და შესაბამისი სერტიფიკატები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებისთვის შექმნილი აქვს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში (თავი 3 - პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება შეფასება და განვითარება). ის უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარეობის სისტემატურ შემოწმებას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესებას.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – გადახედე/გააუმჯობესე". სისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს და ითვალისწინებს უკუკავშირს კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებიდან. მიღებული მონაცემების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევითი ინსტრუმენტები, მათ შორის: პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების კითხვარები. ასევე, გათვალისწინებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები და საჭირო ცვლილებები ასახულია მოდულების კალენდარულ გეგმებში.

პროგრამის განვითარებისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვანი მონაცემებია: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რეგისტრაციისა და ჩარიცხვის სტატისტიკა, კვალიფიკაციის მინიჭება, სტუდენტთა სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, მობილობის ანალიზი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.3.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება დემინგის ციკლს – „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გადახედე/გაუმჯობესე". კოლეჯში ეს პროცესი სისტემატურად უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სტუდენტთა მიღწევებთან.

პროგრამების განხორციელების მონიტორინგი ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად. მონიტორინგის ფარგლებში კოლეჯი აფასებს პროგრამის ხარისხს სხვადასხვა წყაროს მონაცემების საფუძველზე - კურსდამთავრებულების და პროფესიული სტუდენტების უკუკავშირი, დამსაქმებლებისა და პარტნიორების მოსაზრებები, პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასებები, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები.

შესაბამისად, კოლეჯი საჭიროების მიხედვით ახორციელებს ცვლილებებს პროგრამაში ან მოდულებში. ეს შეიძლება შეეხოს შეფასებისთვის გამოყოფილ საათებს, თემატიკას, სასწავლო რესურსებს ან სწავლების მეთოდებს. ცვლილებების განხორციელება ხდება პროგრამის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, თითოეული ცვლილება რეგისტრირდება შესაბამის ადმინისტრაციულ პროცედურებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფთან გამართულ გასაუბრებებში დადასტურდა, რომ კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამების განხორციელების ხარისხს და საჭიროების შემთხვევაში დროულად განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამების მაღალკვალიფიციურ და მდგრად შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.3.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კოლეჯის ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- კოლეჯის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- კითხვარების ანალიზი და ანგარიშები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

"იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას - დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული რესტორნის მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, მათ შორის პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირი სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი მიმდინარეობის გაუმჯობესების მიზნით. მეცადინეობების განრიგი მაქსიმალურად მორგებულია სტუდენტთა საჭიროებებს. პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, განკუთვნილი მატერიალური და ადამიანური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოების" ფარგლებში, კოლეჯს აქვს დამტკიცებული სასწავლო გეგმა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა ეძლევათ.

სტუდენტებისთვის რეგულარულად შედგება კონსულტაციების გრაფიკი, რაც საშუალებას აძლევს მათ დეტალურად გაარკვიონ სასწავლო პროცესის საკითხები. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონიდან მოსულ სტუდენტებს, რათა მათი ტრანსპორტით გადაადგილება პრობლემებს არ შეუქმნას და სწავლა შეუფერხებლად განხორციელდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციური ანალიზი, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

კოლეჯ „განთიადს“ აქვს მზაობა და მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში, აგრეთვე იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება. კოლეჯი ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სწავლება არსებული სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება. ასეთი შემთხვევებია: სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა, სტუდენტის ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობა.
აღწერილ შემთხვევებში კოლეჯი ხელმძღვანელობს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით”. სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტების შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს. მოცემულ შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კოლეჯში „განთიადი“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წესი: „სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქცია“. პროფესიული მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები თითოეული პრაქტიკული თემის წინ სტუდენტებს აცნობენ უსაფრთხოების წესებს. კოლეჯი პასუხისმგებელია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოები" თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯში, პროფესიული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, სასწავლო გარემოს გააჩნია შესაბამისი ნორმატიული ბაზა, აღჭურვილობა, იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი/პირები. დამონტაჟებულია კამერები, ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ექსპერტიზის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

კოლეჯში მოქმედებს ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი" დირექტორის მიერ 2022 წლის 20 იანვარი N 07 ბრძანებით დამტკიცემული ა(ა)იპ კოლეჯის „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა", რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. მოწყობილია უსაფრთხოების მანიშნებლები, გამოკრულია შესაბამისი ინსტრუქციები. გარემო აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, კვამლის დეტექტორებით და სხვ. კოლეჯში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა";
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- შრომის უსაფრთხოების წესი
- სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სახელოსნოში უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა განისაზღვრება ვალიდურობით, სანდოობით, გამჭვირვალობით, სამართლიანობითა და ობიექტურობით, რაც რეგლამენტირებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. სისტემა დეტალურად განსაზღვრავს შეფასების პროცესს, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმებს შეფასების შედეგების შესახებ, აპელაციის წესს და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები და ვერიფიკაციის პროცესის შესახებ არსებული დოკუმენტაცია. ხარისხის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტით დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად რეაგირებს არსებულ გადაცდომებზე და საჭიროების შემთხვევაში ატარებს შესაბამის ღონისძიებებს შიდა ტრენინგების სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასება ეფუძნება შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების, განხორციელებული შეფასებებისა და დაკავშირებული მტკიცებულებების კონტროლს, რათა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროცედურების მიხედვით, ბოლო ცვლილებით განახლებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ წესების საფუძველზე. პროცესი ითვალისწინებს როგორც შეფასების ინსტრუმენტების, ისე შეფასების პროცესის დეტალურ გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაწერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის ორგანიზებას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც თანამშრომლობს შიდა ვერიფიკატორების ჯგუფთან. ჯგუფში შედიან განათლებისა და დარგის სპეციალისტები. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს პროგრამის სხვა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ჩართული იმ ინსტრუმენტების შემუშავებაში, რომლებსაც თავად აფასებს.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, დასრულებული ვერიფიკაციის პაკეტები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიც ადასტურებს განხორციელებულ ცვლილებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

კოლეჯს აქვს შემუშავებული სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში გამოყენებული ყველა დოკუმენტისა და მტკიცებულების სათანადო აღრიცხვას და უსაფრთხო შენახვას. შეფასების განხორციელებისას ყველა საჭირო დოკუმენტი და ინსტრუმენტი რეგისტრირდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ. სწავლის დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც იგი 3 წლის განმავლობაშია დაცული.

დოკუმენტაციის შენახვის ვადის ამოწურვის შემდეგ ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა მონაცემი და მტკიცებულება იყოს სწორად დაფიქსირებული და დაცული, ხოლო კოლეჯი სრულად იცავს როგორც კანონის, ისე შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, ხოლო მასწავლებლები სისტემატურად იკვლევენ შედეგებს, გასცემენ რეკომენდაციებს და ხელს უწყობენ სტუდენტთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. უკუკავშირის მექანიზმის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებთან აქტიურად ხორციელდება კონსულტაციები, რომლებიც რეგისტრირდება მოდულის სტატისტიკურ დოკუმენტაციაში. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის. არსებული პრაქტიკა გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოები" ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- გასაუბრების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან.
- მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი
- სტუდენტთა კითხვარები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

06.02.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: